

თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის კონცეფცია ფარული საგამომიებო მოქმედებების განსახორციელებლად დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტს ეკისრება ვალდებულება 2014 წლის პირველ დეკემბრამდე უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო რეგულაციის მიღება, რომლითაც განისაზღვრება უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოთა მიერ ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვების წესი. აღნიშნულმა წესმა უნდა უზრუნველყოფს ფარული მიყურადებისას და ჩაწერისას, ინფორმაციის მოხსნისას და ფიქსაციისას სუბიექტთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების პროგრამულად, ავტომატურ რეჟიმში აღრიცხვა და აღრიცხული მონაცემების დაცვა.

საკანონმდებლო რეგულაციამ აგრეთვე უნდა განსაზღვროს ინფორმაციის მოპოვების ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესების და მეორე მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოების სათანადო დაცვის ინტერესების დასაბალანსებლად, შეიქმნას დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფარულ-საგამომიებო მოქმედებათა ცენტრალური ბიურო და ფარულ საგამომიებო ღონისძიებათა განხორციელების კანონიერების ზედამხედველი ორგანო – კომისია.

ბიუროს ძირითადი ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს:

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავით და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვება;
- აღნიშნული ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით კავშირგაბმულობის არხში არსებული, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების კოპირება.

მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან ბიუროს უნდა ჰქონდეს სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობების განთავსებისა და მონტაჟის შესაძლებლობა და ფლობდეს და იყენებდეს სპეციალურ ტექნიკასა და აღჭურვილობას.

ცენტრალურ ბიუროს უნდა ხელმძღვანელობდეს ბიუროს უფროსი, რომელიც თავის საქმიანობაში უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და ემორჩილებოდეს მხოლოდ კანონს. მას თანამდებობაზე უნდა ნიშნავდეს და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში თანამდებობიდან ათავისუფლებდეს საქართველოს პრეზიდენტი.

ბიუროს დებულების დამტკიცების კომპეტენცია უნდა მიენიჭოს საქართველოს პრეზიდენტს, კომისიასთან შეთანხმებით, ხოლო ბიუროს მოხელეთა ვინაობა (გარდა უფროსისა და მისი მოადგილეებისა) უნდა იყოს კონფიდენციალური.

მიგვაჩნია, რომ ფარულ საგამომიებო მოქმედებათა ცენტრალური ბიუროს პარალელურად, უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით ფარულ-საგამომიებო საქმიანობის განხორციელებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი უწყება-კომისია. კომისია ზედამხედველობას გაუწევს ნებისმიერი ფარულ საგამომიებო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავით და „კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით.

კომისიის ძირითადი უფლებამოსილება იქნება ფარულ საგამომიებო ღონისძიებათა განხორციელების კანონიერების, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და განადგურების კანონიერების საკითხზე ზედამხედველობა.

განადგურებიდან 3 დღის ვადაში კომისიას უნდა წარედგინოს ოქმი იმ ინფორმაციის განადგურების შესახებ, რომელიც მოპოვებულ იქნა ფარული საგამომიებო ღონისძიებების შედეგად. კომისიისთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ყველა იმ პირის შესახებ, რომელსაც ჰქონდა ამ ინფორმაციასთან წვდომა. კომისიას ექნება სრული დაშვება იმ ინფორმაციაზე, რომელიც დაკავშირებულია ფარულ საგამომიებო საქმიანობასთან. ამ მიზნით, კომისიის ნებისმიერი წევრი (წევრები) შეიძლება ადგილზე დააკვირდნენ ფარულ საგამომიებო ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებებს და შეამოწმონ მათი საქმიანობა წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ხოლო სასამართლო ვალდებული იქნება გადაუგზავნოს კომისიას ყველა იმ განჩინების ასლი, რომლითაც უარი ეთქვათ საგამომიებო ღონისძიების განმახორციელებელ ორგანოებს ფარულ საგამომიებო ღონისძიების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

კომისია უფლებამოსილი უნდა იყოს:

- მიმართოს მოთხოვნით საგამომიებო საქმიანობის განმახორციელებელ უწყებას და მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მას სჭირდება მის მიერ განსახორციელებელ შემოწმებასთან დაკავშირებით.

- მიმართოს რეკომენდაციებით კონკრეტულ უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ან საგამომიებო საქმიანობას. თუმცა რეკომენდაციის შინაარსი არ იქნება საჯარო.

კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს 5 წევრით, რომელთაგან ორი, საქართველოს სახალხო დამცველი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, კომისიაში შევა თანამდებობრივად. ხოლო დანარჩენ სამს აირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით 6 წლის ვადით.

კომისიის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება ექნებათ ფრაქციებს. ამასთან, კომისიის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, კომისიის წევრთა შერჩევის პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალების ჩართულობას.

საქართველოს პარლამენტმა კომისიის წევრად შეიძლება აირჩიოს 25 წელს მიღწეული ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და დადებითი რეპუტაცია. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას თანამდებობაზე არჩევამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ კომისიის წევრებს უნდა აეკრძალოთ ნებისმიერი სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობისა. კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება და შეუქმნას კომისიის წევრებს მოღვაწეობისა და ცხოვრების სათანადო პირობები. დაუშვებელი უნდა იყოს კომისიის აპარატის თანამშრომლებზე ზემოქმედება სხვა უწყების წარმომადგენლების მიერ, ხოლო კომისიის წევრები უნდა სარგებლობდნენ იმუნიტეტით.

კომისიის საქმიანობის განხორციელება შეეძლება ინდივიდუალური წევრების მეშვეობით ან/და კოლექტიურად. ამავდროულად, კომისიის ეფექტური და გამართული საქმიანობის მიზნით, უნდა შეიქმნას კომისიის აპარატი, რომელსაც უხელმძღვანელებს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ კომისიის წევრთაგან კომისიის წევრები პირველივე სხდომაზე აირჩევენ. თავმჯდომარის არჩევამდე ან მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიას უხელმძღვანელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ყოველწლიური ანგარიშის მომზადების ორგანიზებას, თითოეული კომისიის წევრის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე.

კომისიის წევრთა და აპარატის საქმიანობა სათანადოდ უნდა დაფინანსდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კომისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად მიიღოს გრანტები და შემოწირულობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.